



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ასათ მოქმედი

ასათ მოქმედი, X ს. ოქრომქანდაკებული. 1898 სოფ. ბრილში (ხაშურის რ-ნი) აღმოჩენილი დავით კურაპალატისათვის გაკეთებული ჯვრის (27,2 X 16,2 სმ, საქართვ. ხელოვნ. სახელმწ. მუზეუმი) ავტორი.

მხატვრულ-ისტ. ღირებულებით ბრილის ჯვარი მნიშვნელოვანი ნიმუშია ქართ. ოქრომჭედლობის განვითარების იმ ეტაპისა, როდესაც თავი იჩინა ინტერესმა ფიგურის სკულპტურული გადმოცემისადმი. ამასთანავე ნაწარმოებში ჯერ კიდევ ცოცხლობს ძვ. ტრადიციები: სიუჟეტის ემოციურობისა და ექსპრესიის გაძლიერების მიზნით ფიგურების ცალკეული ნაწილების ხაზგასმა. ა. მ-ის ჯვრის წინა პირზე გამოსახულია ჯვარცმული ქრისტესა და წმინდანთა ფიგურები. ფონი და ბურგი მთლიანად დაფარულია გრავირებული ფოთლოვანი ორნამენტით. წინა პირის ქვედა მკლავზე დამკვეთის, ტაოს მფლობელის დავით კურაპალატის სახელია ამოკვეთილი, ბურგზე – შემსრულებლის სახელი – „ასათ მოქმედი“. ქრისტეს მეტყველი სახე, იოანესა და მარიამის სამოსლის ოსტატურად მოდელირებული ნაკევები ოქრომქანდაკებლის ნიჭიერებაზე მეტყველებს.

ლიტ.: ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი გ., ქართული ოქრომჭედლობა VIII–XVIII საუკუნეებისა, თბ., 1957; მ ი ს ი ვ ე , Золотых дел мастера Асата работа для Таосского владетеля, царя царей Давида Куропалата, «საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე», 1948, ტ. 15 В; მ ი ს ი ვ ე , Грузинское чеканное искусство, Тб., 1959.
